საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური წაულა

კავკასიური წაულა

კავკასიური წაულა, (Mustela lutreola turovi), ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 45 სმ, კუდის – 20 სმ. თითებს შორის აქვს უმნიშვნელო საცურაო აპკი. იკვებება პატარ-პატარა მღრღნელებით, ნაირგვარი ფრინველით, ბაყაყებით, თევზებით. თავს აფარებს სოროს, რ-საც თვითონვე თხრის. ცხოვრობს წყალსატევების მიდამოებში. საქართველოში გავრცელებულია ბზიფისა და ფსოუს ხეობებში. უნიკალური და გადაშენების გზაზე მდგომი ქვესახეობაა, შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“. სარეწაო ღირებულება არა აქვს.

ა. ჯანაშვილი